4 (16) მარტი, 1866. № 1. პირველი წელიწადი.

დროება

გაზეთის ფასი:

	Ტფილისში	Გაუგზავნელათ:
	და გარეშე ადგილებში:	
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
10-ის თვისა	— 6 —	— — — 5 —
ნახევრის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2 —

Ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროებაჲ“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება: Ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, Вдовинскаго-ლის და კამპ. სტამბაში, Валіавинის პროსპექტზედ, Ал. Ивановскаго-ს სახლში. — Გაზეთზედ ხელის-მოწერა ყოველთვის მიიღება.

Ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. Ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ამ ნუმერში არის: Გაზეთზედ.—Პოლიტიკა: Ფრანკია: ტრონით-სიტყვა იმპერატორის ნაპოლეონისა. Ანგლია: ტრონით-სიტყვა კოროლევის Ვიკტორიასი.—Ტელეგრამმები.—მმართებლობის განკარგულებანი: Ცნობაში მოყვანაზედ Ტფილისის მცხოვრებთ რიცხვისა და ქონებისა.—Ფულის შეტანის ვადაზედ ადგილებისთვის, Ფოთში, დიდს კუნძულზედ.-Ბრძანება Კავკასიის Намѣстникის სამმართველოში.-Ფელეტონი: Მათუსალას აღსარება.-Საეკლესიო ცნობები.-Სახაზინო და კერძოობითი განცხადებები.—Ბიბლიოგრაფიული ცნობა.

Ტ ფ ი ლ ი ს ი, 4 მ ა რ ტ ს.

ამ 1866 წლით ვიწყობთ ქართულის გაზეთის გამოცემასა. ჩვენს აზრში ეს წელიწადი დარჩება შესანიშნავს დროთ: ქართულს ენაზედ გაზეთი სრულებით ახალი საქმეა, და ყოველივე ამ გვარი საქმე ნაბიჯის წინ გადადგმაა. ვისაც კი ესმის ჟურნალების მნიშვნელობა ხალხის განათლებაში, ის, რა საკვირველია, მოხარული იქმნება ამ ამბით. ქართველებში უწინაც გავრცელებული იყო კითხვისა და სწავლის სიყვარული; დარწმუნებით ვიცით, რომ აწინდელს დროს საკითხავის წიგნების საჭიროებას მთელს საქართველოში გრძნობენ. ახლა რედაქციაზედ არის დამოკიდებული ამ საჭიროების დაკმაყოფილება. რა ხასიათი უნდა მიიღოს „დროებამ“, რა მიმართულებას უნდა დაადგეს ისა, ეს თავ და პირველათვე უნდა აღმოჩნდეს. „Დროებამ“ უნდა იქონიოს მხედველობაში გონების გახსნა და ნამდვილის ცნობის გადაცემა მკითხველისადმი და არა დროს გატარება იმისი.

ჟურნალებს და გაზეთებს დიდი გავლენა აქვთ დაწინავებულს ქვეყნებში. ჩვენს დროში ისინი შეადგენენ განათლების ზომასა და აუცილებელს საჭიროებასა ხალხის წარმატებისათვის. მართალია, ზოგიერთს აღმოსავლეთის სახელმწიფოებში და აგრეთვე ძველს Ევროპაში ვპოულობთ იმ გვარს ჩვეულებას, რომ ჟურნალის მზგავსად იწერებოდა ახალ-ახალი ამბები საზოგადოებაში გასავრცელებლათ, მაგრამ ბეჭდვა მაშინ არ იცოდნენ, და მაშა სადამე, არ შეიძლებოდა ჟურნალს იქ ის მნიშვნელობა ჰქონებოდა, როგორც ახლა.

ამისთვის როგორათაც აღმოსავლეთზედ, აგრეთვე ძველს Ევროპაში განათლება იძროდა სუსტათ და სრულებით არ იყო გავრცელებული ხალხში. ამ საქმის საფუძველი დაიდვა მეთხუთმეტის საუკუნის ნახევარს, როდესაც ნემეცმა ბუტტენბერგმა მოიგონა ბეჭდვა. ბეჭდვა მცირეს ხანში Ევროპამ მიიღო. Თითქმის იმ დროდამვე იწყეს წიგნების ბეჭდვა და ადგილ-ადგილ გამოცემა გაზეთებისა, თუმცა ეს უკანასკნელი სახელი შემდეგ არის შემოღებული—მეჩვიდმეტის საუკუნის დაწყებაში: gazetta იტალიანურათ ნიშნავდა პატარა მანეთს, რომელიც ფასად ედვა Ვენეციაში თვითო ნუმერს ჟურნალისას. შემდეგ ეს სახელწოდება შერჩა იმას. მაშინდელი გაზეთები ახლანდელებს ძალიან ცოტათი ემსგავსებოდნენ: იმათის საუბარის საგანი იყო უნამეტნავესათ ომიანობის საქმეები. Დიალ მცირეთაც იყვნენ ისინი გავრცელებულნი. Ანგლიაში პირველი გაზეთი დაწესდა მეთექვსმეტის საუკუნის გასულს, Ფრანკიაში—მეჩვიდმეტეს საუკუნეში. მხოლოთ ამ დროდამ იწყება იმათი მნიშვნელობა: ჟურნალები და გაზეთები უფრო და უფრო მოიფინებიან; ისინი შეუდგნენ საუბარს ყოველს საგანზედ—მეცნიერებაზედ, პოლიტიკაზედ, საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაზედ, მმართებლობისა და ხალხის ნაკლულევანებაზედ. Იმათ დიდი მონაწილეობა ჰქონდათ საზოგადოების გონების შეძრვაზედ. შეიძლება ვსთქვათ, რომ ისინი ძალიან შეეწივნენ მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში Ევროპის წარმატებას.

მეცხრამეტეს საუკ. მნიშვნელობა ჟურნალებისა და გაზეთებისა უფრო და უფრო მატულობს. Ყოველივე, რასაც მეცნიერება მოიპოვებს, რაც სხვა და სხვა ქვეყნებში პოლიტიკური შემთხვევა მოხდება, რაც ხალხის ყოფა-ცხოვრებაში კარგია თუ ავი, რა ღონისძიებასაც სწავლის გამოკვლევა აღმოაჩენს საზოგადოების კეთილ-დღეობის წარმატებისათვის ყოველივე ეს შეადგენს ჟურნალებისა და გაზეთების საგანსა. რომელი ხალხიც უფრო წინ არის წასული განათლებით, იმის საზოგადოებაში იმოდენათ უფრო მომატებული ჟურნალი და გაზეთი გამოიცემა; რომელი ხალხიც უკანა დგას, იმას უფრო ნაკლებათა აქვს ისინი. Გარდა ამისა იქ თვითოეულს მეცნიერების შტოს აქვს საკუთარი ორგანი, რომელსაც აქვს განსაკუთრებითი დანიშნულება და საზოგადოთ ძნელი გასაგონია. Სახალხო ორგანები იყოფება ორ გვარათ: ჟურნალებათ და გაზეთებათ. Ჟურნალი ფრანკუზული ლექსია და მიღებულია მთელს Ევროპაში; თარგმანებით ის ჰნიშნავს ყოველ-დღიურს, რადგანაც უმეტესი იმათი ნაწილი ყოველ დღე გამოდის. Რუსულს ენაზედ ამ სიტყვას სხვა აზრი აქვს; თუმცა ამ ლექსით Ევროპაში ისახელწოდება საზოგადოთ ყოველივე ჟურნალი და გაზეთი, მაგრამ იქ ჟურნალი უნამეტნავესათ გაზეთსა ჰქვიან, Რუსეთში კი ეს სიტყვა ისეა მიღებული, როგორათაც იქ revue, обозрѣніе, ანუ მიმოხილვა, რომელიც თვეშიერთხელ თუ ორჯელ გამოდის დიდ წიგნებათ და შეიცავს სამეცნიერო საბუთებზედ დამყარებულს განხილვას, გარკვევას ყოველგვარის საგნისას. Ფრანკუზული revue, რუსული журналъ მომზადებულთა და ნასწავლთათვის არის გასაგონი და ხალხისათვის კი ძნელათ. Სახალხო უფრო გაზეთია ანუ ფრანკუზული journal. Გაზეთის საუბრის საგანი არის პოლიტიკური ამბები და საზოგადოების ყოფა-ცხოვრება. Თუმცა სამეცნიერო საგნებსაც შეეხება ისა, მაგრამ მოკლეთ: ადგილ-გასაგონის საბუთების ჩვენებით. Მაშა სადამე სჩანს, რომ გაზეთი უფრო გავრცელებული უნდა იყოს ხალხში, ვინამც ჟურნალი.

Ეს სწორეთ ასეც არის. ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, რა გვარათ არის განათლებულს ქვეყნებში გაზეთები მოფენილი. Ჯერ ეს უნდა ვსთქვათ, რომ იქ ზოგიერთს სახელმწიფოში თითქმის მთელმა ხალხმა იცის კითხვა. წერა და ანგარიში, ესე იგი, Ამერიკულს შეერთებულს შტატებში, Პრუსსიაში და სხვა Გერმანიის მხარეებში; Ფრანკიაში და Ანგლიაში ნაკლებათ. Კითხვისა და წერის გამვრცელებელნი არიან ხალხში სასოფლო შკოლები, რომელთაც ზოგან მმართებლობა აფუძნებს, მაგრამ უფრო საზოგადოება. Ადგილ-ადგილ ესეც არის, რომ თუ გლეხმა თავისს დროს თავისი შვილი სასწავლებლათ არ მისცა, ის ჯარიმას ვერ აიცილებს. როგორ მისდევს Ევროპაში ხალხი გაზეთების კითხვას, ეს თვითოეულმა იცის, ვინც კი იქ ყოფილა და თვალ-ყური უდევნებია ამ ფაკტისთვის. Ამ სტატიის ავტორი განცვიფრებაში მოსულა, როდესაც პარიჟში და Ვენაში უნახავს უბრალო კუჩრები, უბრალო მუშები, რომელთაც უბეში სდებიათ გაზეთები და თავისუფალს დროს კითხვა დაუწყვიათ, და Გერმანიის სოფლებში რომ შესულა, თვითოეულს ოჯახში გაზეთები დახვედრია. Აქედამ სჩანს, რომ გაზეთი არის ხალხისთვის საუკეთესო შკოლა. Გაზეთით შეიტყობს ის, განათლება რაში მდგომარეობს, იმისს წარმატებას რა მნიშვნელობა აქვს, ქვეყანაზედ და იმისს მამულში რა ამბებია; გაზეთით ის შეჰნიშნავს თავის ნაკლულევანებას, და ამოიკითხავს ღონისძიებას, რომლითაც ეს ნაკლულევანება უნდა ამოიკვეთოს. Გაზეთის კითხვა იმას გონებას უხსნის, თვალს უხელს და უკეთესს მმართულების გზაზედ დააყენებს. Იქ ყოველივე ადამიანის ყრილობა, ყოველივე საუბარი ამოთ არას დროს არ ჩაივლის, და უიქველათ შეეხება სასარგებლოს საგანს რასმე. Ერთის სიტყვით, ყოველივე იმისი ნაბიჯი სწავლა არის. Იქ ერთი მეორეს ჰბაძავს და ცდილობს, რომ სხვაზედ უკან არ დარჩეს, უმეცართ რიცხვში არ შეირიცხოს.

Ამ გვარს ხალხის მდგომარეობაში ხშირათ მოხდება ისეთი საქმე, რომელსაც ჩვენი საზოგადოება დიდს განცვიფრებაში შეჰყავს. ჩვენს ცნობამდე მოაღწევს ხოლმე, რომ ხალხის საშოდამ ხან და ხან აღმოჩნდებიან ისეთნი, რომელსაც თვითონ უმღერია და რამდენჯერმე მისი გული აღელვებულა დედის ალერსით და ჩჩვილის ტიკტიკით, იმ კაცმა რარიგათ უნდა აიტანოს სასმენლის და სიტყვიერების მოკლება? Დიდი გულის საკვდავია იმისი მდგომარეობა, როდესაც იმას თავის ნაღვლიანი ამბოხება სურს მოძმეს გაუმჟღავნოს, მაგრამ სასაუბროთ ენა ველარ მოუბრუნებია და მოძმეს ლაპარაკი უხმო ტუჩის ძრევათ ეჩვენება. Ეშმარიტათ ძნელი ასატანი უნდა იყოს ამ წუთისოფელში პირუტყვათ ცხოვრება, მაგრამ სიცოცხლესთან საუკუნოთ გამოსალმება კიდევ უფრო ძნელი ყოფილა. Საგრძნობელის მოკლება დიდი უბედურებაა, მაგრამ სიკვდილს კი მაინც ვერ შეედრება.... Მკითხველი იქნება ამ ჩემს ლაპარაკს ყურადგდებით ისმენდეს, მაგრამ ის კი არ იცის, ვინ ელაპარაკება? Ეს იმასა ჰგავს, ჰაერიდგან კაცს ხმა მოგესმოდეს და თვით მთხრობელს კი ვერ ხედავდე. Არა. Უჩინმაჩინის ქუდს შენ წინ რათ დავიხურავ, რადგანაც ჩემს თავს შენს მახლობელს ნათესავათ და მეგობრათ ვხდი. Ის რაღა მეზობელი და მეგობარია, თავის მეზობელს რომ ვერ გამოჰჩენია. აი, ამისთვისაც ვისწრაფი თავი მალე გაგაცნო, მკითხველო. მე ვარ ერთი იმ საქართველოს მათუსალათაგანი, ბახუსის წვენით რომ ნოეს მოუძლურება დახსოვნებია და იმისს შვილებზედ წყევაც მოუსმენია. მე ვარ ის მათუსალა, მურვან-ყრუ აგარიანულის საქართველოში შამოსვლის მოწამე რომ ყოფილა. ვაი იმ დღეს, როდესაც ჩემთან ათასი წარჩინებული საქართველოს შვილი კლდეებში და ღრეებში იმალებოდნენ მთელი ორი წელიწადი! ვინ იცის, რა გაჭირვება არ გამოვიარეთ! ბევრჯერ მოხდებოდა ხოლმე, რომ პურათ მარტო ხის კანი გვქონდა და საჭამადათ ხის ხავსი. Ყოველი სულიერი და უსულო რკინასა და ცეცხლს მიეცა მოსანელებლათ. მთელმა სამოცმა წელმა მას უკან ისე გაიარა, რომ საქართველო ჩვეულებრივს მდგომარეობაში ჯერ კიდევ ვერ ჩამდგარიყო. მე ვარ ის მათუსალა, სულთანის ჯელალ ედინის ტფილისში შემოსვლა რომ თავის თვალით უნახავს, რუსუდანის მეფობის დროს. Ოჰ, უღვთოებავ!? Ოჰ, არა წმინდებავ!... მე, ბედკრულმა ძლივს, რითაც იქნა, ერთს ბნელს სარდაფში ჩავასწრე, მაგრამ ქართველების ღრიალს და დედა-კაცების უნუგეშო გოდებას სარდაფის კედლები როგორ დაიჭერდა. Დედის წინ ძუძუმწოვარს ყრმას აიყვანდნენ და პიწაზედ დაანარცხებდენ, თვით დედასაც შემდეგ დანით ზედ დაეკლავდნენ. მოხუცს ცხენის ძუას გამოაბამდნენ და ლუკმა-ლუკმათ იმის წიხლებს დააგლეჯინებდნენ. ზეგონებოდა ამ დროის სიჰაბუკე იმისთვის დავიჭაცებულაო, რომ თურქის ხრლმით თავი უნდა მოკვეთოდაო. ზეგონებოდა იმათთვის სამი მტკაველი მიწაც დაშურებიათო და იმისთვის დაუხოცნიათო, რომ კაცის თავებით ნადირი და ძაღლები რომ დაეძღოთო. შვილის მაგივრათ დედაში გასაცხავი დედოფალი რუსუდან ჭუთაის იმალებოდა. Ამ ნაირს მდგომარეობას საშუალო აზიიდგან კიდევ მონგოლების შემოსევა დაერთო. Იმათს უკანით მიქცევის შემდეგ, მთელი საქართველოს მხარე ცეცხლით გადაფუტკრულს ველს ემზგავსებოდა. მე ვარ ის მათუსალა, Ამერის და Იმერის გაცალკევებას რომ მოვსწრებივარ, მოვსწრებივარ იმ დროს, როდესაც Სპარსეთში და Ოსმალეთში ათასობით გაჰყავდათ საქართველოს ახალ-გაზდობა, ზოგი ტყვეთ და ზოგი ძველათ, ვყოფილვარ იმ დროების მოწამე, როდესაც უპირულობის

ფელეტონი.

მათუსალას აღსარება.

Ოჰ, რა მოხარული ვარ, მკითხველო, რომ ამდენის ხნის სიმუნჯის შემდეგ ბოლოს მაინც, ღვთის შეწევნით, ენის კლიტე გამეხსნა შენთან სალაპარაკოთ. Უნდა წარმოიდგინო, რა რიგად დაწუხებული ვიყავი ამ სულთა-მხუთავის ჭირვებისაგან... Სიმუნჯე, ჰმ!... სიმუნჯესთანა სენი ნეტა თუ რამე მოველინოს ზეციურს მამას კაცის დასასჯელათ. Უეცრად დამუნჯებული კაცის საქმე სულ სხვაა და დაბადებიდგან მუნჯისა კიდევ სხვა. Დაბადებიდგან მუნჯს იმისთანა სამწუხარო მდგომარეობა არა სჭირს, როგორიც შემდგომისათ დამუნჯებულს კაცს. პირველს არაოდეს არ მოუსმენია კაცის ტკბილი საუბარი, ჩიტის ჭიკჭიკი, ბულბულის წკრიალი, შოშიას სტვენა, მდინარის ჩხრიალი, კლდის ქვითინი, მწყემსის სალამური და ყოველ ნაირი ხმა, ბუნებაზედ რომ კაცის გასართველათ მოვლენილა. Ღმერთს ბუნებით მუნჯისთვის დაბადებიდგანვე დაუხშავს სასმენელი და ის ვერც წარმოიდგენს თითქმის ხმის სიტკბოებას; მაგრამ კაცმა, ოჰ, რა ბედნიერი ვარ, ეს ამბავი ეს ამბავი! ... ...

თნი გვამნი, რომელთაც სწავლა არსად მიუღიათ, მაგრამ მოწინავე პირებათ შეიქნებიან ხოლმე, ესე იგი, უკეთესს მწერლებათ და უკეთესს მოქმედ პირებათ საზოგადო საქმეებში. საჭიროთ ეხადით აქ. უჩვენოთ ჩვენის დროს ორი პირი მაგალითათ,—ჩრდილოეთის ამერიკის პრეზიდენტები, ლინკოლნი და იმისი მოადგილე ჯონსონი. პირველი იყო შეშის მჭრელი, მეორე მკერავი; ჯონსონი ახლაც პრეზიდენტია ჩრდილოეთის ამერიკისა, სადაც განათლება უკეთესს მდგომარეობაშია, ვინამც ევროპაში. ლინკოლნმა დაიწყო ნეგრების განთავისუფლება მონებისაგან, ჯონსონმა შეასრულა... გაზეთს ერთი იმისთანა მნიშვნელობაც აქვს, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ. გაზეთი აერთებს და აკავშირებს მთელს ხალხს. აი ამაზედ რას ამბობს უპირველესი მწერალი ევროპაში, ანგლიელი ჯონსტუარტ მილლი: „ყოველს ღონისძიებაზედ შემძლე შეერთების საშუალობა, რომელიც მხოლოთ ამ ცოტახანს გახდა საზოგადო სამკვიდრებელათ, არის გაზეთი. გაზეთი მრავლის რიცხვის ხმებს გადასცემს თვითოეულს; გაზეთის საშუალობით ის ტყობულობს, რასაც რომ სხვანი აზრობენ.“

ქართულს ენაზედ ჯერ ჩვენ არა გვაქვს ჟურნალი, რომელსაც კი თავისი მნიშველობა ესმოდეს. ამ სამის წლის წინ დაწესდა „მოამბე“, კარგის მიმართულებით, მაგრამ, საუბედოთ, ერთის წლის მეტი იმას არ უცხოვრია. გაზეთი აქამომდე სულ არ გამოცემულა. ვერ ვიტყვით, როგორ წარემართება „დროება“. მაგრამ, როგორც ზემოთ გამოვსთქვით, იმისი დაწყებაც სასიხარულო უნდა იყოს, რადგანაც ყოველივე ამ გვარი საქმე ერთის მხრით მეცადინეობას მოასწავებს ფეხის წინწადგმისას, მეორის მხრით, ჩვენის აზრით, შეუძლებელია ცოტაოდენი მოძრაობა მაინც არ მისცეს საზოგადო გონებას, საზოგადო ყოფა-ცხოვრებას, თუ გაზეთი თავის დანიშნულებას არ გადუდგა. არც ეს მეცადინეობა, არც ეს მოძრაობა არ უნდა დარჩენ უნაყოფოთ. „დროების“ წარმატება დამოკიდებულია, რა საკვირველია, მომზადებულის და მცოდნე პირების მონაწილეობაზედ. მართალია, ამ გვარნი პირნი ცოტანი გვყვანან, მაგრამ ისინიც საკმაოა იქნებიან, თუ რომ იმათ გულ-გრილობა არ უჩვენეს, როგორც ჩვენ, ქართველებს, ჩვეულება გვაქვს. თვით საზოგადოების მონაწილეობა უფრო მოსატებულათ არის საჭირო, ესე იგი, თუ ის ჩაინერგავს გულში გაზეთის ძალას ხალხის წინ-წადგმაში, მაშინ, ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, გაზეთი გამხნევდება და კარგს მდგომარეობაში შევა. ამას კი დარწმუნებით ვიტყვით, რომ რედაქციას სხვა აზრი არა აქვს რა, იმის გარდა, რომ ჭეშმარიტების გავრცელებას და ხალხის კეთილ-დღეობას მოეხმაროს. ამ აზრის უკუგდება იქნება სვინიდისისა და კეთილშობილების დათრგუნვა. უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენ ჯერ დაბლა ვდგევართ, გონება გაუხსნელნი ვართ, კეთილ-დღეობა რა არის არ გვესმის, ერთის სიტყვით, სნეულებს მივემსგავსებით; მაგრამ სნეულების განკურნება მაშინ შეიძლება, როდესაც ავათმყოფი თავისის აგებულობის მდგომარეობას დაწვლილებით გამოაშკარებს და ექიმს უამბობს. ასეა ჩვენი საქმეც. თუ რომ ჩვენ ჩვენს ნაკლულევანებას არ დავფარავთ, ღონისძიებაც იმისის ამოკვეთისა ადვილი იქნება. ამაზედ გაზეთმა უნდა ილაპარაკოს. ძნელია ეს საქმე: საზოგადო კეთილ-დღეობის შესახებს შრომას ჯერ ჩვენ არა ვართ შეჩვეულნი და არ ვაფასებთ; ამისთვის მრავალნი, ხან და ხან რა საკვირველია, შეჰრისხვენ „დროებას“. მაგრამ თუ ამას არ შეუდეგით, ნაყოფსაც ვერა ვნახავთ. ხან და ხან ესეც მოხდება, რომ ნაკლულევანების გამოხატულობაში გაზეთი გადაჭარბებს. არც ამ შემთხვევამ უნდა შეგვაშფოთოს. ევროპის ლიტერატურაში ხშირია, როდესაც ჰსურთ რაზედმე საზოგადო ყურადღება მიაქციონ, რომ უფრო ადვილათ ამოჰკვეთონ ისა, განგებ წარმოადგენენ ხოლმე იმას გადაჭარბებით.

პოლიტიკა.

ფრანცია. სჯულის-დამდების კრების გახსნის დროს, პარიჟში, 10 (22) იანვარს (*) ფრანცუზების იმპერატორმა ნაპოლეონმა III ჩვეულებისამებრ წარმოსთქვა ტრონით—სიტყვა. (**) აი ეს სიტყვა ადგილ-ადგილ შემოკლებით გადმოღებული:

„უფალნო სენატორნო, უფალნო დეპუტატნო. სჯულის-დამდების კრების გახსნა მე ნებას მაძლევს წარმოგიდგინოთ იმპერიის მდგომარეობა და ჩემი აზრი წარმოვსთქვა. როგორც წარსულს წლებში მე განვიხილავ თქვენთან ერთათ უმთავრესს საქმეებს, რომელნიც ჩვენს მამულს შეეხებიან.

„გარეთ მშვიდობიანობა, ვგონებ, ყოველგან შეურყეველია, რადგანაც ყოველგან ეძებენ ღონისძიებას, რომ სხვა და სხვა დაბრკოლებანი მეგობრულათ გადასწყვიტონ და არა იარაღითა.

„ფრანციის და ანგლიის ფლოტის ერთს ნავთს-სადგურებში შეყრამ აღმოაჩინა, რომ არ შესუსტებულა ის დამოკიდებულება, რომელიც დამყარდა საომარს მინდვრებზედ; დრომ კიდევ უფრო შეაკავშირა ორივე მხარე.

„გერმანიის შესახებ მე მსურს გავაგრძო ნეიტრალური პოლიტიკა, (*) რომელიც არ დაუშლის არც ჩვენს მწუხარებას და არც სიხარულს, ამასთანავე არ გაგვრევს იმ საქმეებში, რომელნიც ჩვენ პირდაპირ არ შეგვეხებიან.

„თითქმის ყველა ევროპის სახელმწიფოთაგან აღიარებულმა (**) იტალიამ თავის ერთობა გაამაგრა, როცა თავის სატახტო ქალაქი ნახევარ-კუნძულს შუა გადაიტანა. ჩვენ შეგვიძლიან იმედი გვქონდეს, რომ 15 სექტემბრის ტრაქტატი მტკიცეთ ასრულდება და წმინდა მამის (ე. ი. პაპის) უფლება აუცილებლათ დაცულ იქმნება.

„კავშირი, რომელიც ჩვენსა, ისპანიას და პორტუგალიას შუა არსებობს, კიდევ უფრო მტკიცეთ შეიქმნა იმის შემდგომ, როდესაც ამ უკანასკნელს დროში მე და ამ ორის ქვეყნის ხელმწიფეებმა ერთი ერთმანერთი ვნახეთ.

„როგორც მე, აგრეთვე თქვენ იგრძნეთ, საყოველთაო განრისხება, [illegible] პრეზიდენტის ლინკოლნისა [illegible] კნელს დროში ბელგიელების კაროლის (ლეოპოლდის) სიკვდილმა მოგვაყენა საერთო ჭწუხარება.

„მეხიკაში მტკიცდება ის მმართებლობა, რომელიც ხალხის ნებით დაფუძნდა. როგორათაც წარსულს წელს მე იმედი წარმოვსთქვი, ჩვენი ექსპედიცია მალე გათავდება. მაქსიმილიანე იმპერატორთან მე მოლაპარაკება ქაქვს დროს დანიშვნაზედ ჩვენის ჯარების უკან დასაბრუნებლათ, იმ პირობით კი, რომ ამ დაბრუნებით ვნება არ მიეცეს ფრანციის ინტერესს, რომელსაც ჩვენ ვიცავდით ამ დაშორებულს ქვეყანაში.

„ჩრდილოეთი ამერიკა გამოვიდა გამარჯვებული საშინელის ბრძოლიდამ; იმან აღადგინა უწინდელი კავშირი და საქვეყნოთ წარმოსთქვა მონების მოსპობა. ფრანცია არ ივიწყებს თავისის ისტორიის დიდ შემთხვევებს; ის გამოაცხადებს წრფელს სურვილს, რომ ამერიკის დიდი რესპუბლიკა კეთილ-დღეობაში იმყოფებოდეს და დაცულ-იქმნას იმასთან მეგობრული დამოკიდებულება.

„აღრეულება, რომელიც მოხდა შეერთებულს შტატებში ჩვენის ჯარის მეხიკაში დგომისა გამო, დამშვიდდება ჩვენის გულ-ახდით წარმოთქმულის სიტყვით. ამერიკის ხალხი მიხვდება, რომ ჩვენი ექსპედიცია იმისს ინტერესს არ ეწინააღმდეგება. ორივე ხალხი ერთნაირათ მეცადინეობენ თავიანთის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, და ამისგამო ისე არ უნდა მოიქცნენ, რომ იმათი ღირსება და პატიოსნება დამცირდეს.

„სახელმწიფოს მშვიდობიანობამ ნება მოგცა მენახა ალჟირია, სადაც, იმედი მაქვს, ჩემი ყოფნა უსარგებლოთ არ დარჩება იმის ინტერესების დასამშვიდებლათ და ტომების დასაახლოვებლათ.

„ჩემმა გასვლამ ფრანციიდამ დაამტკიცა, რომ წრფელს გულს და მაღალს ჭკუას შეუძლიან ჩემი მაგიერობა. (*)

„ჩვენის მმართებლობის დაწყობილება მოქმედებს ხალხში, რომელიც კმაყოფილია და იმისი რწმუნება აქვს.

„ჩვენის ფინანსის მდგომარეობა გვაჩვენებს, რომ შემოსავალი მატულობს და გასავალი კლებულობს.

„ფინანსის ამ გვარს მდგომარეობაში მოსაყვანათ საჭირო იყო ეკონომია დაგვეჭირა

(*) 10 (22) იანვარს. აქ პირველი რიცხვი (10) ჩვენგან ხმარებულის იულიანურის კალენდრის რიცხვია და მეორე (22) გრიგორიანულის კალენდრისა, რომელსაც დასავლეთის ევროპის და ამერიკის ხალხები ხმარობენ. გრიგორიანული კალენდარი (ანუ ახალი სტილი) 12 დღით წინ არის ჩვენს იულიანურს კალენდარზედ (ანუ ძველს სტილზედ). ასე მაგალითათ, დღევანდელს დღეს ჩვენ 4 მარტათ ვსთვლით და დასავლეთის ევროპა და ამერიკა 16 მარტათ. ამისგამო ამ გაზეთის თავში რომ 4 მარტია მოხსენებული, იქვე ფრჩხილებში დგას 16 ე. ი. გრიგორიანულის კალენდრის რიცხვი.

(**) კონსტიტუციურს ქვეყნებში წელიწადში ერთხელ სჯულის-დამდების კრების ან პარლამენტის გახსნის დროს ხელმწიფე წარმოსთქვავს ხოლმე სიტყვას, რომელშიაც მოკლეთ განიხილავს სახელმწიფოს მდგომარეობას, თავისის მმართებლობის მოქმედებას, და ამასთანავე გამოაცხადებს, მომავალში რა პოლიტიკის დაჭერას აპირებს. ამ სიტყვას — სატახტო ან ტრონით სიტყვა ჰქვიან.

(*) ჩვენ პირველს შემთხვევაში იმისთვის მოგვყავს საპოლიტიკო ნაწილში ორი ტრონით სიტყვა, ფრანციის და ანგლიის ხელმწიფეებისა, რომ ისინი გამოგვიხატვენ, თუ როგორ უყურებს ამ ორის დიდის სახელმწიფოების მმართებლობა თავის ქვეყნის მდგომარეობას და რა აზრი აქვთ იმ საზოგადო პოლიტიკის საქმეებზედ, რომელნიც ამ უკანასკნელს დროში მოხდნენ.

(*) როცა რომელიმე სახელმწიფო არ გაერევა სხვა სახელმწოფოების ომში, არც ერთს და არც მეორეს მეომარს მხარეს არ მოეხმარება, მაშინ ამბობენ იმან ნეიტრალური პოლიტიკა ან ნეიტრალიტეტი დაიჭირაო.

(**) როდესაც განათლებულს ქვეყანაში მმართებლობის ცვლილება მოხდება ან ახალი სახელმწიფო შესდგება, მაშინ ამ ქვეყნის მმართებლობა ცდილობს, რომ ყველა სახელმწიფოებმა თავისი თანხმობა გამოაცხადონ ამ ცვლილებაზედ, აღიარონ (признать), იცნონ ისე, რა მდგომარეობაც იმან მიიღო.

(*) აქ ნაპოლეონი თავისს მეუღლეზედ—იმპერატრიცა ევგენიაზედ ამბობს. როდესაც ალჟირიაში წავიდა, თავისი მეუღლე დანიშნა პრეზიდენტათ იმ რჩევისა, რომელსაც დროებით უნდა განეგო სახელმწიფო.

გამო ისე მოვუძლურდით, რომ ჩვენი მეზობელი ლეკები დაღისტნიდგან იმერეთში გადადიოდენნ, დაბასა და ქალაქს ცეცხლით აოხრებდნენ ტყვეებს, და საქონელს იტაცდნენ. ამ დენს ცეცხლში და კუპრში გამოვლილს, მე ცოდვა გადიდებულს მათუსალას განა გული კიდევ უნდა შემრჩენოდა, რომ თავს ზარის დაცემით ენის საბრუნავი არ ჩამკეტოდა?-უეჭველია. მე რომ ხანგრძლივ დავდუმდი, ამისი მიზეზი იყო ის განუქარვებელი სევდა, რომელიც მოძდიოდა გულზედ წამისწამს, როდესაც მოვიგონებდი ყოვლად უნაყოფოთ ჩაელილს ჩვენს ისტორიულს ცხოვრებას. ერთს მშვენიერს საღამოს, იმისთანა საღამოს, რომლის ნაირიც დიდი ხანი იყო ჩემს თვალებს არ ენახა, დამაშვრალი განვისვენებდი მწვანე მდელოზედ. ძველი ჩვენი ფუჭი ცხოვრება მუდამ ცხოველის წარმოდგინებით გულის ჭრილობას მიახლებდა. ამ დროს უეცრათ, ალბათ სისხლის აგორვებით მომიხდა თავს რომ ზარმა დამკრა, კოჭებამდის ჩაირბინა. როცა ცნობაში მოვედი ამგვარის ზარის დაკვრის შემდეგ ენის საბრუნავი სრულიად ჩამკეტოდა. მას აქეთ არის რაც დადუმებული დავტანტალებდი ამ წუთის სოფელში ყოველად უსაქმოთ, უფრო მისთვის რომ სადმე სამს მტკაველზედ ცივი სამარის მიწა გამხსნოდა და მას საუკუნოდ მივებარებინე; მაგრამ მე, ცოდვა გადიდებულს სიკვდილიც მელტვოდა. თითქო თვით ბუნებას მათუსალასათვის ადამის წლობა მიუნიჭებიაო. როგორც იქნა მკვდარ-ცოცხალი მოვცოდვილდი ამ დროებამდის და აქ კი სულის სიკრულე შემისაღავათდა. ციაგის შუქმა უეცრად შემოანათა იმ ბედკრულს ღამეში, რომელშიაც უგზო-უკვლოთ დავეხეტებოდი. სიხარულისათვის კარდახშული გული გამინედლდა. ამ დროშიაც მომესმა ჭეშმარიტების ხმა: „ესხურე, მათუსალავ, ხალის ცხოვრების წყაროთი, შეიხსენ შემაჭირვებელი ბორკილი და ისევ ღრმა მოხუცებისგან გამშვენიერდი ჭაბუკად„. „ითით მკითხველნო რასში მოვიპოვე მე ჩემი სიჭაბუკე?—გლეხების განთავისუფლებაში. დიახ, იმდროიდგან, როდესაც ჩვენს დაჩაგრულს ძმებს მიეცათ დიდის ხნიდგან დაკაგრული სიმართლე, იმ დღიდგანაც წარმოდინდა ჩემი ახალი წყარო ჭაბუკობისა და შენიც უფრო ნათელი, ღონიერი და უფრო სამართლიანი წყარო ცხოვრებისა.

ამ გვარის ცვლილების მოსწრე ასეთ რიგად ავღორძინდი, რომ დადუმებული ენაც ისევ ამედგა. ახლა მხოლოდ ამას ვეეედრები უზენაესს, რომ ნორჩის ენით ტიკტიკი მდიდარს და მოსწრებულს ქართულს სიტყვიერებად შემიცვალოს. ახალის ადგმულის ენითაც ახლა ვისურვებ შენთან ტკბილად ჟღურტულს სხვა და სხვა ამბის შესახებ... მაგრამ რა ვთქვი? სულ ყველა ყველა და ტკბილის !აუბრის კი რამოგახსენო? მადამის N ეთეროვანს გაზრდილებთან ნუ რას უკაცრავად, თუ მათი ყურთასმენა სირინოზის ხმით ვერ დავატკბე ხოლმე. ეჭვი არ არის იმათი ფაფუკი ლაბები, ნაზი წელ-გაწრეტილება და გულმკერდის უხვად გადმოშლილება კორხლიანს სიტყვებს ვერ აიტანს და ხშირადაც შეიძლება წამოიძახონ ხოლმე ამ გვარად: „ფუი! გაუზრდელი!... ეს ვის გაუგონია ამ გვარი უზრდელი სიტყვები! ტპუ! ტპუ! ცადი დაიქარგე, თვალით არ დაგვენახო უზდელო მათუსალავ!„—უნდა მოგახსენოთ მადამის N და ნასტუსიანთ არემარეში ერთს რალაც ნაირს იხტიბალურს მანქანასა ხმარობენ და მითი ასეთ რიგად უვიწროებენ ყანყრატოს ჩვენ ახალ-გაზდა სიტურფესა, რომ იმათ ყელს არც ასოსი ყ, არც ქ და არც წ გამოთქმა არ შეუძლიანთ. ყ მაგივრად იტყვიან კ, ქ მაგივრად გამოთქმენ ggგაანს და წ მაგივრად ც! მაგალითად, თუ სურთ გამოთქვან—“ჩვენ ვყაყანებთ„, ამის მაგივრად იტყვიან “ჩვენ ვკაკანებთ„!... იკაკანე რამდენიც გერჩიოს ჩვენო წყალწაღებულო სიტურფეე; მაგრამ მე კი არ შემიძლიან ამ ქვემოხსენებულის წინასიტყვაობის ძალით ყოველთვის არ მოვიქცე ხოლმე:

აწ აღვიძვრი შენ საქებად
ეთეროვანო არსება!
ასკილს მოვიხმარ სიტყვებად,
თუმც ვიცი არ გიამება.

მაგრამ სჯობს ასე, მყობადში რომ არ გავ-
ხდეთ საგინებლაღ-

ამ ჟამად მხოლოდ ამ წინასიტყვაობით გ-
ვათავებ ჩვენს ახალ-გაზდა სიტურფესთან ლაპარაკს, რადგანაც სხვა მკითხველებთანაც ბევრს რასმე საგნებზედა მაქვს სალაპარაკო. მაგრამ ეს შემდგომისათვის გადაედვათ.

(დანარჩენი შემდეგს №).

სახელმწიფოს მმართველობის სხვა და სხვა ნაწილში, სხვათა შორის სამხედრო უწყებაში.

„რამდენისამე თვის განმავლობაში მასწავლებლების მეცადინეობით იმპერიის სხვა და სხვა ადგილებში 13,000 ახალი კურსი გაიხსნა.

„მიწის მუშაობა 1852 წლის აქეთ დიდს წარმატებაში შევიდა.

„ეკონომიურმა ცვლილებაებმა გაავრცელა საზოგადო კეთილ-დღეობა.

„ბარეგანი ვაჭრობა შარშან ავიდა 7 მილლიარდამდე (*) და წელს იმას მოემატა 700 მილლიონი (ფრანკი).

„ამ კეთილ-დღეობას უფრო და უფრო წარმატება მიეცემა; მაგრამ მოუსვენართ პირთ ვითომც ჩსურთ ააჩქაროან ლიბერალური მოძრაობა მმართებლობისა და იმათი აზრი კი ის არის, მმართებლობის ძალა და კეთილნი დაწყებანი შეასუსტონ და ამით დაბრკოლება მისცენ თვით მმართებლობას. იმათ მოჰყავთ ის სიტყვა პირველის ნაპოლეონისა, რომელიც მე მოვიხმარე და ურევენ ერთმანერთში პროგრესსა და მოუსვენებელს მდგომარეობას.

„როდესაც იმპერატორმა წარმოსთქვა თავისი აზრი კაცობრიულის წესდებაების შეუწყვეტელს წარმატებაზედ, იმას უნდოდა ეთქვა, რომ ის ცვლილება არის ხანგრძლივი, რომელიც სრულდება დროს მსვლელობაში საზოგადოს ზნეობის წარმატებით.

„ეს წარმატება დამოკიდებულია ენებათ დამშვიდებაზედ და არა უდროო ცვლილებაზედ ჩვენის სჯულის საფუძვლისა. მართლა და რა სარგებლობას ენახავთ, რომ რაც დღეს უარვყავით, ის ხვალ ისევ მივიღოთ?

„1852 წლის კონსტიტუციამ, ხალხს რომ მისაღებელათ წინა-დაედვა, დაიწყო დამყარება საფუძვლიანათ მოაზრებულის სისტემისა, რომელსაც ის აზრი აქვს, რომ თვითოეულის სახელმწიფოს უფლება თავისს საკუთარს სამზღვარს არ გადავიდეს.

„როდესაც პალატის ხელშია მინისტრების სვე, მაშინ აღმასრულებელს უფლებას და მოქმედებას ძალა არა აქვს; ისა რჩება უკანტროლოთ, თუ აღმორჩევითი პალატა არ სარგებლობს დამოუკიდებლობით და კანონიერის ძალით.

„ჩვენ კონსტიტუციას, რომელსაც რომელიმე მგზავსება აქვს შეერთებულის შტატების კონსტიტუციასთან, არ მიეწერება ნაკლულევანება მხოლოთ იმისთვის, რომ ის განსხვავდება ანგლიის კონსტიტუციისაგან. თვითოეულს ხალხს უნდა ჰქონდეს დაწყობილება შესაფერი იმისი ხასიათისა და ისტორიისა.

„ეჭვი არ არის, ყოველს მმართებლობას თავისი ნაკლულევანება აქვს, მაგრამ როდესაც წარსულს დროებას წარმოვიდგენ, მე სიამოვნებით ვხედავ, რომ ფრანცია 14 წლის გავლის შემდეგ გარეთ პატივცემულია, შიგნით მშვიდობიანათ არის; არც საპყრობილეებში არიან პოლიტიკურნი დამნაშავენი და არც საზღვარს გარეთ განდევნილნი.

„ნუ თუ 80 წელი საკმაო არ იყო მმართებლობითის სხვა და სხვა თეორიის მოსაზრებლათ? ნუ თუ უფრო სასარგებლო არ იქმნება რომ შეუდგეთ პრაკტიკულის საშუალების მოპოვებას ხალხის ზნეობის და ყოფა-ცხოვრების წარმატებისათვის? მაშ ვეცადნეთ, განვავრცელოთ მეცნიერების სინათლითურთ ჭეშმარიტი ეკონომიური სწავლა, სიყვირული კეთილისადმი და სარწმუნოებრივი აზრები; როდესაც ყველა ფრანცუზები, რომელთაც ახლა პოლიტიკური უფლება აქვთ მინიჭებული, სწავლით განათლდებიან, ისინი ადვილათ გაარჩევენ ჭეშმარიტებას და არ მიჰყვებიან შემაცთუნებელს თეორიებს.

„როდესაც ყველანი, ვინც დღითი-დღე სცხოვრებს, დაინახვენ, რომ მომჰირნე შრომით მატულობს მათი კეთილ-დღეობა, მაშინ ისინი შეიქმნებიან იმ საზოგადოების საძირკვლათ, რომელიც მიანიჭებს იმათ კეთილ-დღეობას და ღირძებასა.“

ანგლია. ქაროლლევა ვიკტორიასგან პარლამენტის გახსნაზედ 25 იანვარს (6 თებერვალს) წარმოთქმულის სიტყვისაგან გამოვწერთ შემდეგს:

„მილორდნო და უფალნო!

„დიდის სიამოვნებით მოვიქცევი თქვენთან რჩევისა და შემწეობისთვის. ამ მოკლეს დროში მივეცი ნებართვა ჩემის ქალის ელენეს და შლეზვიგ-ბოლშტეინ-ავგუსტენბურგელის პრინცის ხრისტიანეს ქორწინებაზედ. იმედი მაქვს ეს ქორწინება კეთილ-ნაყოფიერი და ბედნიერი იქნება.

„უსაყვარლესის ბიძის ჩემის ბელგიელების კაროლის სიკვდილმა დიდს მწუხარებაში ჩამაგდო. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იმის მემკვიდრესაც ის სიბრძნე განამხნევებს, რომელიც შამას იმისას თავის სიცოცხლეში გამოუჩენია და მიუმკვიდრებს მხარეს თავის თვითარსებობას და კეთილ-მდგომარეობას.

„ჩემსა და სხვა სახემწიფოებს შუა არის მეგობრული დამოკიდებულება; არა ვითარს სასაშიშრო მიზეზს საზოგადო მშვიდობიანობის დარღვევისას არა ვხედავ.

„ფრანციის და ანგლიის ფლოტის ერთად შეყრამ ორთავე ქვეყნის პორტებში დაამკვიდრა ამ ორს ხალხს შუა მეგობრობა და ცხადათ დაუმტკიცა მთელს ქვეყანას, რომ იმათ ორთავეს აქვთ მშვიდობიანობის სურვილი.

„დიდის სიამოვნებით შევნიშნე, რომ იმ ძნელის ბრძოლის კეთილათ გათავების შემდეგ, რომლითაც ასე დიდ ხანს იყვნენ გატაცებულნი შეერთებული ამერიკის შტატები, იმათ ისევ გონივრათ იწყეს იმ ზარალის აღდგინება, რაც შინაგანის განხეთქილებისაგან მოუვიდათ. მოწყობის გაუქმება იმ მხარეში არის იმისთანა საქმე, რომელიც განაღვიძებს გულითადს თანაგრძნობას და კეთილმოსურნეობას ჩვენს ქვეყანაში. ჩვენმა ქვეყანამ ყველაზედ უწინ აღმოაჩინა თავისი სიძულილი მონაობისადმი, რომელიც ეწინააღმდეგება სიმართლეს და კაცთმოყვარეობას.

„ამასთანავე კმაყოფილებით განგიცხადებთ რომ აფრიკის დასავლეთი სკიდეებზედ ნეგრების დატყვევება და გასყიდვა ჩემის ესკადრის მეცადინეობით და მომჭირნეობით ძრიელ შემცირდა.

ჩემსა და შეერთებულის შტატების მმართებლობას შუა მოხდა მიწერ-მოწერა იმ ზარალზედ, რომელიც კრეისერებს (მეკობრეებს) სამხრეთის შტატების ფლაგის ქვეშ ამერიკის ვაჭრობისათვის მოუხდენიათ. ამ მიწერ-მოწერის პირი თქვენთან წარმოიდგინება.

„მე სამწუხაროთა მაქვს რომ ისპანიის და ამერიკის რესპუბლიკის ჩილის შუა მოხდა განხეთქილება. ისპანიამ მიიღო კეთილი მეცადინეობა ჩემის მმართებლობისა ფრანცუზების იმპერატორების თანაშემწეობით. იმედი მაქვს, რომ ამ განხეთქილების მიზეზი მოისპობა ორივე მხარის დაკმაყოფილებით.

„მე შევეკარ ავსტრიის იმპერატორს იმისთანა სავაჭრო ტრაქტატით, რომელიც, იმედი მაქვს, მიაგებს ამ იმპერიას ყოველგვარს კეთილდღეობას, რაც კი აღებმიცემობის განვრცელებისაგან წარმოსდგება ღა ორივე მხარეს დიდს სარგებლობასაც მიანიჭებს.

„სამწუხარო შემთხვევისა გამო, რომელიც მოხდა ჩემს ამერიკის კალონიაში, იამაიკის კუნძულზედ, მე გადავწყვიტე, რომ დაუღონებლივ შეუდგნენ მიუფერებელს გამოძიებას. სჯულის-დამდებმა კრებამ იამაიკაზედ გამოაცხადა სურვილი, რომ აწინდელი პოლიტიკური წეს-დება შეიცვალოს ახალს მმართველობის წესზედ. ამ საქმის დოკუმენტები თქვენ წარმოგედგინებათ.

„ბულსმოდგინებით თვალყურს ვადევნებ იმ გარემოებას, რომელიც აღმოჩნდა ჩრდილოეთის ამერიკის ჩვენს სამფლობელოში. მე მსურს მომატებული დაკავშირება ამ მხარის სხვა და სხვა პროვინციებს შუა და ამ მჭიდრო კავშირს ეაძლევ დიდს მნიშვნელობას.

„დიდის გულმტკივნელობით ვხედავდი ამ უკანასკნელს დროში, თუ რა რიგად გაჩნდა და მოეფინა დიდ-ბრიტანიაში საქონლის ჭირი. ფრიად შეეწუხდი, როდესაც შეეიტყვე რა ზარალიც ამ ჭირს მიუცია მრავალ საგრაფოებისთვის. ჩემთვის სასიამოვნოა, რომ ირლანდია და უმეტესი ნაწილი შოტლანდიისა ჯერ აქამომდე უვნებელია ამ ჭირისაგან. იმედიც მაქვს, ღვთის შეწევნით ის ღონის ძიება, რომელიც იმის შესაკავებლათ მოუხმარნიათ, დაუშლის ამ ჭირს გავრცელებას. ჩემის რჩევის ლორდებისგან მოხდენილი განკარგულება იმ სიმართლის ძალით, რომელიც იმათთვის კანონს მიუნიჭებია ამ ჭირის შესაყენებლათ, მალე გადმოგეცემათ. თქვენ უნდა მიაქციოთ ყურადღება განსაკუთრებით იმ საგანს, რომელიც დიდათ შეეხება ჩემის ხალხის საჭიროებას, რომ კანონი იმათ საკეთილდღეოთ შეიცვალოს.

„უფალნო ქვემო პალატის დეპუტატნო!

„მე ვუბრძანე, რომ წარმოგიდგინონ მომავალის წლის გასავალი, შედგენილი შესაფერის ეკონომიით და ამასთან იმ აზრითაც, რომ დააკმაყოფილოს საზოგადო საჭიროება.

„ვაჭრობაც კეთილმდგომარეობაშია.

„მმართებლობის საკუთრების და სარწმუნოების წინააღმდეგი შეთქმულობა, რომელიც ერთის ხმით ყველასგან არის განკიცხული, აღმოჩნდა ირლანდიაში. ჩვეულებრივის სამსჯავროების კონსტიტუციური ძალა საკმაო იყო იმის მოსასპობელათ. კანონის უფლებამტკიცეთ და მიუფერებლად დაცულ იქმნა. ამ საქმეზედ შედგენილი პროეკტი კანონისა გასახილველათ წარმოგედგინებათ.

„მე ვუბრძანე, რომ საკაროლო კამმისიის აზრი სისხლით დასჯის შესახებ გადმოქცენ.

„მე ვუბრძანე წარმოგიდგინონ ცნობები შესახებ ხმის უფლებისა პარლამენტის წევრების ამორჩევაზე. როდესაც ამ ცნობების შეკრება მოხდება, პარლამენტმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ კანონი, რომელიც ქვემო პალატის წევრების ამორჩევას შეეხება, შეიცვალოს იმნაირათ, რომ ჩვენის თავისუფალის დაწესების დამყარება და კეთილდღეობის მონიჭება შეეძლოს.

„ბულსმოდგინეთ შეეევედრები ყოვლად შემძლებელს ღმერთს, რომ ამ საგნების და სხვა მრავლის მოაზრებაში იმან გარდამოავლინოს თავისი კურთხევა თქვენს რჩევაზედ ჩემის ხალხის კეთილმდგომარეობის მოსაპოვებლად.“

ტელეგრამმები.

ჰეტერბურგი, 17 თებერვალს.

გამოცხადებულია მეორე სესხი ასის მილლიონის მანეთისა ხუთ-პროცენტიანი, მოგებით. პირობები ისევ ის არის, როგორც პირველის სესხისა. ამ სესხის ბილეთების გასყიდვა დაიწყობა 19 თებერვალიდამ ჰეტერბურგში.

ფრანცუზული გაზეთი Patrie სწერს, ვითომც დიდი სახელმწიფოები თანასმანი იყვნენ, რომ რუმინელთ მიეცეს თავისუფლება თავიანთის მმართებლობის ამორჩევისა, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ამ აღმორჩევით არ დაირღვეს 1856 წლის ტრაკტატი და ევროპის საქმე არ გაძნელდეს. ბელგიის უცხო ქვეყნების საქმის მინისტრმა ბეფიანურათ გამოაცხადა, ვითომც ფრანგიის მთავრობა უარს ამბობდეს რუმინიაში მთავრათ დანიშვნაზედ.

ავსტრიის იმპერატორმა 16 თებერვალს მიიღო დეპუტაცია ვენგრიის სეიმის ორთავე პალატისგან, რომელთაც მიართვეს ადრესი, და რომელნიც იმან დაიმედოვნა თავისის სურვილის აღსრულებაზედ. მისმა უდიდებულესობამ ამასთანავე სთქვა, რომ ეს ხრ შემიძლიან ჩემს აზრს გადავსდეო, რომელიც ყველმწიფემ ჩემი მოვალეობა არ შევასრულიო და ამისთვისაც მტკიცეთ უნდა დავადგეო იმ საფუძველს, რომელიც წარმოვსთქვიო ტრონით-სიტყვაში.

ისმის, ვითომც ანგლიის პირველს მინისტრს ლორდს როსსელს ეთხოვნოს უთანხმოებისგამო კაბინეტში დათხოვნა მინისტრობიდამ და ვითომც იმას თავის მოადგილეთ დაესახელებინოს ლერცოგი სომერსეტი.

ჰეტერბურგი, 19 თებერვალს.

გამოიცა უმაღლესი ბძანება სახელმწიფო გლეხების საზოგადო მმართველობის შეცვლასედ და იმათს გადაცემასედ, როგორც საზოგადო გუბერნიისა და უეზდის უწყებებში, აგრეთვე ადგილობრივს საგლეხო საქმეების უწყებაში. გამოიცა უქაზიც, რომლითაც მიეცემათ უფლება სახელმწიფო სამსახურში შესვლისა ჰოლშის საშეფოს ებრაელებს, თანასწორ იმპერიის ებრაელებისა. ბალტიის ზღვის-პირ მცხოვრებთ გლეხთა ახალი საზოგადო დაწყობილება მალე გამოიცემა.

მმართებლობის განკარგულებანი.

მისმა იმპერატორებითის უმაღლესობამ დიდმა მთავარმა ქავკასიის ნამესტნიკმა საჭიროთ შერაცხა, რომ რომელიმე ცნობები შეიკრიბოს შესახებ ტფილისის სამოქალაქოს საზოგადოებითის მმართველობისა (გოროდოვოის უპრავლენიისა), რომლის შეცვლას მმართებლობა ფიქრობს. ამისთვის მისმა უმაღლესობამ ბრძანა, რომ ქალაქის მცხოვრებთ სხვა და სხვა წოდების პირთაგან, მისის უმაღლესობის დანიშვნით, დაწესდეს განსაკუთრებითი კამმისია, რომლის პრეზიდენტლათ ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორი იქმნება.

კამმისიამ მიჰყო რა ხელი ამ მინდობილებას, თავის შეყრილობაში ამ თებერვლის თვის 15 რიცხვს დასდვა, რომ თავისის წევრთაგან შეადგინოს ოთხი კამიტეტი და მათ მიანდოს ცნობაში მოყვანა როგორათაც ქალაქის მცხოვრებლების რიცხვისა, აგრეთვე იმათის ქონებისა. ამ კამიტეტებს შეადგენენ:

I ბენერალ-ლეიტენანტები: თავადი ი. ა. ბაგრატიონ-მუხრანსკი და თავადი რ. ნ. ანდრონიკოვი, გენერალ-მაიორი ე. ე. არწრუნი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ა. ბ. ლისოვსკი და კოლლეჟსკი ასსესორი შმიდტი. ამ კამიტეტმა უნდა შეადგინოს სიები შთამომავლობითის თავად-აზნაურებისა, რომელთაც ქალაქში ან უძრავი საკუთრება აქვთ, ან ვაჭრობენ და ან ხელოსნობენ.

II კოლლეჟსკი ასსესორი თაიროვი და შთამომავლობითის საპატიო (ბაჩოტნი) მოქალაქეები; ალექსანდრე ფულინოვი, ბაბრიელ შადინოვი და ნიკოლოზ მირიმანოვი. ამ კამი-

---

(*) მილლიარდი—1000 მილლიონია. ფრანცუზული ფრანკი—5 შაურია.

ტეტმა უნდა შეადგინოს სიები პირადის აზნაურებისა, შთამომავლობითის და პირადის საპატივოს მოქალაქეებისა, რომელთაც ქალაქში ან უძრავი საკუთრება აქვთ, ან ვაჭრობენ და ან ხელოსნობენ.

III მოქალაქეები: აბრამ ბაბანოვი, ტიმოთე ნაუმენკო, ივანე მადერი და პეტრე ამბარცუმოვი. ამ კამიტეტმა უნდა შეადგინოს სია მოქალაქეებისა, რომელთაც ქალაქში უძრავი საკუთრება აქვთ.

IV მოქალაქეები: მაკა მარკუზოვი, ივანე ალიბეგოვი, ივანე სტრახოვი და ივანე ტერნიკოლოსოვი. ამ კამიტეტმა უნდა შეადგინოს სიები მკვიდრის მცხოვრებლებისა, რომელთაც ქალაქში უძრავი საკუთრება არა აქვთ, მაგრამ ვაჭრობენ ან ხელოსნობენ და აძლევენ რომელსამე საქალაქო ხარჯს.

მისის უმაღლესობის ბრძანებით თვითოეულს პირზედ, რომელიც სიაში ჩაიწერება, უნდა შეიკრიბოს შემდგომი ცნობები:

ა) ვინ რამდენის წლისა არის;

ბ) რა გვარი უძრავი საკუთრება აქვს ქალაქში; რას ვაჭრობს, ან რა გვარის ხელოსნობისა არის;

გ) რა შემოსავალი აქვს უძრავის საკუთრებიდამ, აღებ-მიცემობისა და ხელოსნობიდამ;

დ) ეს პირი სამართლით (სუდით) დასჯილი ხომ არ ყოფილა; სავაჭრო საქმეებში ხომ არ გამოჩენილა შეუძლებელათ დგასაკიცხავის ქცევისათვის ხომ არ წართმეია საზოგადოების გადაწყვეტილობით ხმა ქალაქის საზოგადოებითს შეყრილობაში;

ე) იმ პირებზედ, რომელთაც ქალაქში უძრავი საკუთრება არა აქვთ, მხოლოთ ვაჭრობენ ან ხელოსნობენ და იძლევიან რომელსამე საქალაქოს ხარჯს.

მისის უმაღლესობის ბრძანებით თვითოეულს პირზედ, რომელიც სიაში ჩაიწერება, უნდა შეიკრიბოს შემდგომი ცნობები:

ა) ვინ რამდენის წლისა არის;

ბ) რა გვარი უძრავი საკუთრება აქვს ქალაქში; რას ვაჭრობს, ან რა გვარის ხელოსნობისა არის;

გ) რა შემოსავალი აქვს უძრავის საკუთრებიდამ, აღებ-მიცემობისა და ხელოსნობიდამ;

დ) ეს პირი სამართლით (სუდით) დასჯილი ხომ არ ყოფილა; სავაჭრო საქმეებში ხომ არ გამოჩენილა შეუძლებელათ დგასაკიცხავის ქცევისათვის ხომ არ წართმეია საზოგადოების გადაწყვეტილობით ხმა ქალაქის საზოგადოებითს შეყრილობაში;

ე) იმ პირებზედ, რომელთაც ქალაქში უძრავი საკუთრება არა აქვთ, მხოლოთ ვაჭრობენ ან ხელოსნობენ და იძლევიან რომელსამე საქალაქოს ხარჯს.

მისის უმაღლესობის ბრძანებით თვითოეულს პირზედ, რომელიც სიაში ჩაიწერება, უნდა შეიკრიბოს შემდგომი ცნობები:

ა) ვინ რამდენის წლისა არის;

ბ) რა გვარი უძრავი საკუთრება აქვს ქალაქში; რას ვაჭრობს, ან რა გვარის ხელოსნობისა არის;

გ) რა შემოსავალი აქვს უძრავის საკუთრებიდამ, აღებ-მიცემობისა და ხელოსნობიდამ;

დ) ეს პირი სამართლით (სუდით) დასჯილი ხომ არ ყოფილა; სავაჭრო საქმეებში ხომ არ გამოჩენილა შეუძლებელათ დგასაკიცხავის ქცევისათვის ხომ არ წართმეია საზოგადოების გადაწყვეტილობით ხმა ქალაქის საზოგადოებითს შეყრილობაში;

ე) იმ პირებზედ, რომელთაც ქალაქში უძრავი საკუთრება არა აქვთ, მხოლოთ ვაჭრობენ ან ხელოსნობენ და იძლევიან რომელსამე საქალაქოს ხარჯს.

ამ საზოგადოს ცნობების გარდა საჭიროა, რომ ნაჩვენები იყოს, რომელს ქალაქის ნაწილში, კვარტალში და ქუჩაში არის უძრავი საკუთრება, სავაჭრო თუ სახელოსნო ალაგი.

შემოსავლის შეტყობა უძრავის საკუთრებიდამ უნდა დაფუძნდეს სახლების, დუქნების და სხვა შენობების დაფასებაზედ, რომელიც ჰოუხდენიათ საკვარტიროს ხარჯის ასაღებათ; ხოლო შემოსავალი სავაჭროს და სახელოსნოს ალაგებიდამ გამოჩნდება:

ა) იმ ბილეთებიდამ, რომელნიც ქალაქში ჰოვაჭრეებს მიცემული აქვთ დუქნების და სხვა სავაჭროს ალაგების გასახსნელათ;

ბ) იმ მოწმობებიდამ, რომელნიც ზაკავკაზიის სახაზინოს პალატისაგან მიცემული აქვთ სასმელების გასასყიდავათ;

გ) იმ გამოსაღებიდამ, რომელიც ცალკე ვაეწერება თავად-აზნაურთა და სხვა პირთა, რომელნიც ვაჭრობენ, მაგრამ ხარჯის მიმცემნი კი არ არიან.

კამმისია, გამოაცხადებს რა ზემოხსენებულს საყოველთაო საცნობათ, მიიწოდებს იმათ, ვისაც კი შეეხება I, II, III და IV მუხლი, რომ ყველამ გამოუცხადოს თავისი საბუთი უ. უ. კომიტეტის წევრებს ჩასაწერათ ჯეროვანს სიაში და აგრეთვე დაწვრილებით აცნობოს, რაც სიაში ჩასაწერი არის.

დასასრულ კამმისია თავის თავს ვალდებულათ რაცხს შენიშნოს, რომ კამიტეტებისთვის მინდობილის შრომის გასათავებელათ 15 მაისი არის ვადათ დანიშნული და ამისთვის ქალაქის მცხოვრებლებმა დრო დაუკარგავათ უნდა ახლავე წარმოადგინონ თავიანთი საბუთი, რომ ჯეროვანს სიაში ჩაეწერონ, და ამასთანავე უნდა შეიტანონ კამიტეტებში ყოველივე, რაც საჭირო ცნობებია, ქვევით ნაჩვენების ფორმით.

ფორმა სიისა № 1.

შთამომავლობითის თავად-აზნაურებისა, რომელთაც ტფილისის ქალაქში ან უძრავი საკუთრება აქვთ, ან ვაჭრობენ და ან ხელოსნობენ.

№ რიგით.	გვარი, სახელი, მამის სახელი, ჩინი, წოდება და წლოვანება შთამომავლობითის თავად-აზნაურებისა.	დასახელება ქონებისა, ქალაქის ნაწილისა, კვარტალისა და ქუჩისა, რომელშიაც ეს ქონება იმყოფება.	ქონებიდამ რა შემოსავალი აქვს და ეს ქონება ქალაქისაგან როგორ არის დაფასებული.	რა გვარი ვაჭრობა და ხელოსნობა აქვს და აქედამ რა შემოსდის.	შენიშვნა.

ფორმა სიისა № 2.

პირადის აზნაურებისა და პირადის ან შთამომავლობის საპატივოს (პაჩოტნის) მოქალაქეებისა, რომელთაც ტფილისის ქალაქში საკუთრება აქვთ, ან ვაჭრობენ და ან ხელოსნობენ.

№ რიგით.	გვარი, სახელი, მამის სახელი, ჩინი, წოდება და წლოვანება პირადის აზნაურისა, პირადის ან შთამომავლობითის საპატივოს მოქალაქისა.	დასახელება ქონებისა, ქალაქის ნაწილისა, კვარტალისა და ქუჩისა, რომელშიაც ეს ქონება იმყოფება.	ქონებიდამ რა შემოსავალი აქვს და ეს ქონება ქალაქისაგან როგორ არის დაფასებული.	რა გვარი ვაჭრობა და ხელოსნობა აქვს და აქედან რა შემოსდის.	შენიშვნა.

ფორმა სიისა № 3.

მოქალაქეებისა და ახალმოსულებისა, რომელთაც ტფილისის ქალაქში უძრავი საკუთრება აქვთ.

№ რიგით.	გვარი, სახელი, მამის სახელი და წლოვანება მოქალაქისა და ახალმოსულისა.	დასახელება ქონებისა, ქალაქის ნაწილისა, კვარტალისა და ქუჩისა, რომელშიაც ეს ქონება იმყოფება.	ქონებიდამ რა შემოსავალი აქვს და ეს ქონება ქალაქისაგან როგორ არის დაფასებული.	გარდა ამისა თუ ვაჭრობს ან ხელოსნობს, მაშინ უნდა ჩაიწეროს, რა გვარია ეს ვაჭრობა ან ხელოსნობა და აქედამ რა შემოსავალი აქვს.	შენიშვნა.

შენიშვნა. თუ მოქალაქეს ან ახალმოსულს ქალაქში უძრავის საკუთრების გარდა ვაჭრობა და ხელოსნობა აქვს, მაშინ ეს უნდა ჩაიწეროს მეხუთე ხაზში.

ფორმა სიისა № 4.

ტფილისის ქალაქის მკვიდრის მცხოვრებლებისა, რომელთაც ქალაქში უძრავი საკუთრება არა აქვთ, მხოლოთ ვაჭრობენ ან ხელოსნობენ და იძლევიან რომელსამე ქალაქის გარდასახადსა.

№ რიგით.	გვარი, სახელი, მამის სახელი და წლოვანება მკვიდრისმცხოვრებისა.	რა ალაგას სცხოვრობს.	რა გვარი ხელობა აქვს, სადარის იმისი სავაჭროანსახელოსნო ალაგი და აქედამ რა შემოსავალი აქვს.	რა საქალაქო გარდასახადს იძლევა და აქვს თუ არა თავისი საკუთარი საცხოვრებელი.	შენიშვნა.

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის შუამდგომელობით დიდმა მთავარმა, კავკასიის ნამესტნიკმა ბრძანა: ვისაც არ გადუხდია მიწის ფასი ფოთში, დიდს კუნძულზედ, იმას დაენიშნოს ახალი ვადა პირველს ივლისამდე 1866 წლისა; ამასთანავე იმან უნდა შეასრულოს პირობანი, მოხსენებულნი იმ განცხადებაში, რომელიც იყო დაბეჭდილი წარსულის 1865 წლის „კავკაზის“ № 55 დამატებაში.

ბრძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში.

დაინიშნებიან: კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესს სამმართველოში მდგომარე დეისტვიტელნი სტატსტკი სოვეტნიკი იზუმსკი, პრედსედატლათ სამეგრელოს დროებითს კამმისიაში, რომელიც არის დაწესებული ცნობაში მოსაყვანათ პირთა, რომელნიც შეადგენენ სამეგრელოს, სვანეთის და სამურზაყანოს თავად-აზნაურთ გვარებს. (5 იანვრიდამ, 1866 წ.) საეკლესიო მამულების გამგებელი სამეგრელოში, კოლლეჟსკი ასსესორი თ. ერისთავი, მმართებლობის მხრით წევრათ სამეგრელოს დროებითს კამმისიაში, რომელიც დაწესებულია ცნობაში მოსაყვანათ პირთა, რომელნიც შეადგენენ სამეგრელოს, სვანეთის და სამურზაყანოს თავად-აზნაურთ გვარებს. (5 იანვრიდამ, 1866 წ.) სამეგრელოს სამმართველოს სოვეტში შტატს გარეთ მდგომარე გუბერნსკი სეკრეტარი ჩარექაშვილი და საკანცელარიო ჩინოვნიკი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიისა, კოლლეჟსკი რეგისტრატორი ჭოლოშვილი—პირველი სეკრეტრათ და მეორე მთარგმნელათ სამეგრელოს დროებითს კამმისიაში, რომელიც დაწესებულია ცნობაში მოსაყვანათ პირთა, რომელნიც შეადგენენ სამეგრელოს, სვანეთის და სამურზაყანოს თავად-აზნაურთ გვარებს. (ორნივე 5 იანვრიდამ 1866 წ.)

სავაჭრო ცნობები.

ტფილისი, 3 მარტს.

ბამბა ფასობს ფუთი:

ერევნისა — 11 მ. 50 კაპეიკიდამ 12 მანეთამდე.

თავრიზისა — 12 მ.

მაზანდარანისა — 12 მ. — 12 მ. 50 კ.

იმერეთისა — 13 მ.

მატყლი ფასობს ფუთი:

თუშური თეთრი—7 მ—7 მ. 50 კ.

—სხვა ფერები—4 მ. 50 კ.

თარაქამისა—4 მ. 50 კ.

—სხვა ფერები 4 მ.—

ყარაბაღისა თეთრი—4 მ.—

სხვა ფერები—3. მ. 20 კ.

აბრეშუმი ფასობს ფუთი:

ნუხისა — — N 1—300 მ.

— — — — N 2—270 მ.-280 მანეთამდე.

— — — — N 3—260 მ.-270 მანეთამდე.

ყარაბაღისა — — — 225 მ. 240-მანეთამდე.

აბრეშუმის პარკი — 80 მ.

ჭერი ფასობს ფუთი — 65 კ.—70 კაპეიკამდე.

პური — — 1. მ. 10 კ.—1 მ. 50 კაპეიკამდე.

პოლუიმპერიალი ფასობს 6 მან. და 55 კაპ.

ბაჯალლო — — — 3. მან. და 60 კაპ.

სახაზინო განცხადებანი.

ეს სახაზინო განცხადებები შემოკლებით გამოგვაქვს ზაკავკაზის ვესტნიკიდამ (Закавказской Вѣстникъ), რომელიც „კავკაზის“ გაზეთთან გამოდის ყოველ-კვირა. ამ გვარი განცხადებები ყველა „დროების“ ნუმერში იქმნება. ვგონებთ, საჭირო იყოს ქართულათ გადმოღება იმათი, რადგანაც ბევრმ „დროებს“ მკითხველთა კანმა რუსული არ იცის. ვრცლად გადმოღებისებას გაზეთის სივრცე არ გვაძლევს და ამისთვის ვინც დაწვრილებით რომლისამე განცხადების შეტყობას ისურვებს თვით ვესტნიკს უნდა მიჰმართოს. ნუმერი ვესტნიკისა, საიდამაც გამოვკრებთ ცნობებს, ყოველთვის იქმნება ნაჩვენები.

1866 წ. (Закавказскій Вѣстникъ, № 8.)

1.) სახელმწიფო ქონების დეპარტამენტში 19 მარტს 1866 წ. დანიშნულია ოთხი ტორგი:

პირველი ტორგია ივარით ალებაზედ საეკლესიო დუქნისა, რომელიც დგას ტფილისში, სიონის ქუჩაში.

მეორე ტორგია ივარით ალებაზედ წმინდა სანთლის გასყიდვისა, 6 მარტიდამ, მართლ-მადიდებლის ეკლესიებისთვის, როგორც ტფილისში, აგრეთვე იმისს ძველის უზდის სოფლებში.

მესამე ტორგია—ივარით გასყიდვაზედ იმ გვარისვე სანთლებისა დუშეთში და იმის ძველის უზდის სოფლებში, 1 მაისიდამ.

მეოთხე ტორგია ივარით გასყიდვაზედ ზემოხსენებულის სანთლებისა ბორში და იმის უზდში, ცხინვალის გარდა, 19 მაისიდამ.

2.) თელავისა და სიღნაღის უზდში, 16 აპრილს 1866 წ. არის დანიშნული ტორგი ივარით მიცემაზედ თევზის დაჭერის ნებისა 7 ივლისიდამ ალაზანში, ბავაზისა და სანავარდოს სოფლების მახლობლათ, ვადით ერთის წლიდამ სამ წლამდე.

3) მისის იმპერატორების უმაღლესობის ნებართვით ზაკავკაზიის სახაზინო პალატაში დანიშნულია ტორგი, 11 მარტს, ივარით მისაცემად ბაჟის-ღებისა ყველა სასმელებზედ, რაც დუშეთსა და ლენკორანს მიიტანება 1870 წლის 1-ლს იანვრამდე.

4.) კავკაზიის სამხედრო არტილლერიის ოკრუგის მმართველობა მოიწოდებს მოსურნეთა სხვა და სხვა მასალების და იარაღების შესამზადებლად, ვადით კანტრაკტის შედგენიდამ 1867-ს მარტამდე.

5.) ტფილისის უზდის სუდში 6 სექტემბერს 1866 წ. მოხდება გასყიდვა ძველის ერთ-ეტაჟიანის სახლისა, რომელიც თავისის კუთვნილებით დაფასებულია 300 მან. და ეკუთვნის ტფილისის მოქალაქეებს არსენას და ივანე არაქელაშვილებს. ეს სახლი დგას ტფილისში, მეორე ნაწილის მესამე კვარტალში.

6.) დაღისტნის ობლასტის სუდში 18 მარტს 1866 წ. არის დანიშნული ტორგი ვენახისა და მიწის გასასყიდათ, რომელნიც ეკუთვნიან შეუძლებელს მოვალეს ტფილისის მოქალაქეს ზაქარია ტერ-ხეჩატუროვს. ეს ადგილამული დაფასებულია 4100 მანეთათ.

7.) თერგის ობლასტის სუდის განკარგულებით ვლადიკავკაზში მოხდება გასყიდვა 3 ივნისს ერთ-ეტაჟიანის ქვიტკირის სახლისა, რომელიც ეკუთვნის პოდპოლკოვნიკის ტვერიტოვის ცოლს ალექსანდრას. სახლი არის დაფასებული 11,000 მანეთ. ეგზეშია თერთმეტი ოთახი, აქვს სამი სამოსამსახურო და ორი ხის ფლიგელი; თვით სივრცე ეზისა შეიცავს 759 საჟენს.

კერძოობითი განცხადება.

სოფელს ოქროყანას, სამს ვერსზედ ტფილისიდამ, მაიორი ზაქარია და ტატო ბაბაშვილები აძლევენ ქირით ორს საზაფხულოს სახლს. თითო სახლში არის ხუთ—ხუთი ოთახი თავისის სამზარეულოებით. ვისაც ჰსურს ამ სახლების დაქერა და ან ფასის შეტყობა, იმას შეუძლ. ან მოილაპარაკოს სახლების მეპატრონეებთან, რომელნიც ცხოვრობენ ტფილისში, ვერაზედ, სტანციის მახლობლათ. (1)

ბიბლიოგრაფიული ცნობა.

მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ტფილისში, ბალავინის პროსპექტზედ, ქ. ზუბალოვის სახლში ისყიდება:

ჩოხბური, ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვა მწერლების ლექსების კრება, შედგენილი ქ. ლორთქიფანიძისაგან. ფასი 1 მანეთი.

ბრიბული, ზღაპრული მოთხრობა ჟოჩუსანდისა, ფრანცულიდგან გადმოთარგმნილი დავით ყიფიანისაგან. ფასი 2 აბაზი.

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, შედგენილი ი. ბ. ფასი 1 აბაზი.

არითმეტიკა, შედგენილი მ. ყიფიანისაგან და ვ. თულაშვილისაგან. ფასი 3 შაური.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4-го марта 1866 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.